

ახალწელი!

დიდება და ვაჟა, დიდება და ვაჟა,
საჭირომ ვილო ჩვენი მიწა-წყლისა!
დიდ ქართველ ხალხს ვაჟა—გმირს, ნიჭიერს, გაშვრალს!
ვაჟა, სახელოვან ორმოცდაათ წლისთავს!

დაე, დაგვიკვება სიხარული, სიტკბო,
წინსვლის, გამარჯვების და მშვიდობის დღენი!
აკვნინანი იუოს, ბედნიერი იუოს,
საამაჟო იუოს მოგკანება ზენი!

ნ.ს. ჯ. ლოლუხანი



№ 24 (1346) დეკემბერი 1970

სიყნოსი

გამოცემის 47-ე წელი უახლესი 20 პაბ.



როცა ასეთი სიხარულია

კონიაკი, ზეთისხილი, ვაშლი, შაშხი, დარიჩინი, კვწარახი, კენკროვანი კულტურები და ტყლაპი ტყიბულიდან ჩემმა ტყუპისცალმა ძმამ გამომიგზავნა.

ინდაური, ინდისხურმა, ნახშირი, ფშატი, ბატი, კვატი, შიგნეული, კვერცხეული და ფქვილეული ნათლიდემამ მომართვა. ბროწეული, გოჭეული, თევზეული, ტკბილეული, სუკეული, ნიახური, დამწნილებული ბეოლის კაკალი, მდოგვი და მანგო მე თვითონ ვიყიდე.

დარჩენილი პროდუქტების მოსატანად ჩემი დაუზარელი პირველი ნახევარი დღის მეორე ნახევარში ბაზარში ვაფრინე. ღვინოს ჭაშნიკი გავუსინჯე, სიგარეტი გავაბოლე, ლობიო ავლესე, დანა გავლესე და ჩემს ქალიშვილებს ალერსით გავძახე: მამო, ჭიოვანა, კვირისტინე, აფროდიტე, ანუშ! მოდით თქვენ შემოგველეთ, შეიღებო, საახალწლო მაგიდა გააწყვეთ!

ყველანი ჟივილ-ხივლით შემოცვივდნენ ოთახში და თაღარიგს შეუდგნენ. უეცრად გამახსენდა არაბული ანდაზა: „მითხარი ვინ არის შენი მეუღლე და გიტყვი, ბედნიერი ხარ თუ არა შენ“. ბოლოს და ბოლოს, ადამიანს ბედი უნდა წყალობდეს, თორემ ვისზე ნაკლები ვარ? რა იქნებოდა, ამდენ ქალიშვილში ერთი ვაჟიშვილი მაინც უღიმღამო ახალგაზრდობა.. ქორწინების დღე, თაფლობის თვე, აჯიკას წლები და, ვინ მოთვლის, კიდევ რა. ამ დროს ბაზრიდან დაბრუნებულმა, ჯიბეგაცილმა, გაბრუნებულმა მეუღლემ პარადოქსალურად გადმომხედა, ბანალურად გამიღიმა, თურქულ ტანტზე წამოწვა და თვალები მილულა. ბატალური სცენის მოწყობის დრო აღარ რჩებოდა. საცაა, სტუმრები უნდა მოსულიყვნენ. მეტი რა გზა მქონდა? გაბრაზებულმა წელზე ფეშტუმალი შემოვიკარი, სახელოები ავიკაპიწე, ერთი გემოზე შევიკურთხე და გამოცდილი დიასახლისივით დავტრიალდი. ფარდაგი დერეფანში დავაგე, ბასტურმა შამფურზე ავაგე, შაშხი ავჭერი, ხახვი დავჭერი. ლოქოს ძმარი გადავასხი, ღვინო ლოქონი ჩავასხი. ის იყო, პრასი შევკაზმე, რომ სტუმრებიც გამოჩნდნენ. ყველაზე მეტად დიდი ხნის უნახავი ეთერის დანახავამ გამახარა. მისმა მოსვლამ გული ამიძგერა და, ვინ იცის, რა არ გამახსენა. აღტაცებულმა თავი ველარ შევიკავე, გადავებხეე და გადავკოცნე. „ცოტა სითბო ოჯახისთვისაც შეინახე“, — ირონიულად ჩაიქირქილა ჩემმა მეორე ნახევარმა, ნაპერწკლოვანი თვალებით გადმომხედა, რადიოლას მიუახლოვდა და ჩემი საყვარელი სიმღერა — „კაცი ვარ და ქული მხურავს“ დაუკრა.

უეცრად მუცლის არეში ენით აუწერელი საშინელი ტკივილი ვიგრძენი. „მიშველეთ, ხალხნო!“ — ისტერიულად შევყვირე და ქანცმილეული სავარძელში ჩავესვინე.

— მიკროინფარქტია, არ შეანჯღრიოთ! — დასვა დიაგნოზი ერთმა.

— როგორ გეკადრებათ, ვერ ხედავთ, სახე ალისფრად უღვივის.

— ალბათ, გაყინული ქაშაყის ქვირითითაა მოწამლული, — დოკუმენტურად დაასაბუთა მეორემ.

— აბა, რა გევნათ! — აზრი გამოთქვა მესამემ.

— სასწრაფოდ საავადმყოფოში! — ღვიძლის გასინჯვის შემდეგ ავტორიტეტულად დაასკვნა ჩემი ბავშვობის მეგობარმა, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიული განყოფილების მთავარი ექიმის მაშიდაშვილმა ავთანდილ პაპიდაშვილმა და ტელეფონით სასწრაფოს გამოუძახა.

— აფსუს, რა ღმერთივით პურ-მარილი იშლება! — ვოხრავდი აცრემლებული და ძვირფას მეუღლეს შევკვნესოდი! „ბავშვებს მიხედე!... უჩემობა არ აგრძნობინო!“

მალე საავადმყოფოში ამოყვავი თავი.

— ექიმო, გადარჩება? — შემომესმა ჩემი მეუღლის ოპტიმისტურად სასოწარკვეთილი ხმა.

— შეიძლება გადარჩეს, შეიძლება არ გადარჩეს, — კომპეტენტურად დაასკვნა მორიგე ექიმმა და თავისი პრესტიჟის განსამტკიცებლად მედიცინის ალმანახიდან გამამხნეველი ლათინური ციტატა მოიშველია: „გრაციოს, მაციოს დე პერფორაციოს!“

— სასწრაფოდ საოპერაციოში! — ის იყო შეპყვირა გამოცდილმა დასტაქარმა, რომ, ამ დროს მთელი ძალით ვიბღავლე: „მიშველეთ, ექიმო, შეტევები მეწყება!“

მალე ყველაფერი უოპერაციოდ დამთავრდა.

მართლაც და ბედნიერი ახალი წელი გავგიჟინდა. ის დღე ხომ ჩვენთვის დაუვიწყარი დარჩება. ამხნა დიდი ხნის ოცნება. ბიჭი შემეძინა. გათენებამდე არ შეწყვეტილა საავადმყოფოს ეზოში შემოპარული ჩემი ახლობლებისა და მეგობრების „მრავალყამიერი“. იმ დამეს სამშობლოარო სახლში ჩემს ჭარდა თერთმეტმა მანდილოსანმა მოილოგინა. ახალი წლის დამეს ქვეყნიერებას ხუთი ბიჭი, ოთხი გოგო და ორი ტყუპი მოევლინა.

დედავ, ისპინა!

ხერხეულიძის ცხრა ვაჟი ერთ ცხარე ომში გაწყდა, მაგრამ დედილას გირილი არა და აღარ დასცდა?..

ჰოდა, რომ წარსულს ჩაბარდა გოდება, ცრემლი, მოთქმა, დღეს ჟამი გვიდგას სიმღერის, განცდათა საამოთა, ახლა ხომ გვმართებს, დედილავ, აკვანი გამრავლოთა?!

ვერ შესძლონ გადავიწყების ქარებმა ჩვენი მოთხრა... და გადავძახოთ თაობებს: „ვ ა რ თ რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს მ ო დ გ მ ა!“

ცვლა უნდა, დედი, ყველაფერს... სიდან მოიყვან ამდენს, საკუთარს თუ არ გამოზრდი? თერთმეტი უნდა გყავდეს!

„ერთი სჯობს ხარისხიანი!“ — თავს რომ იმშვიდებს ზოგი, არ ეთქმის ქალი ჭკვიანი, დიაცმაცუნის მჯობი...

ზოგს რომ ის ერთიც არა ჰყავს და ძალღი შეილად ახლავს, ძალღი მოუვლის, დედილავ, ბოლო ჟამს იმის საფლავს?

გულს მაგკენ მწარედ, დედილავ, — ერთი მემკვიდრე გყავდეს, „ლაღიდის წყლებთან“ დაეოსო, გამვლელს სირცხვილი სწვავდეს...

ან ფულს აძლევდე უსაზღვროდ, ის კი „კეგავდეს“ „არაგვს“, გამართოს „ვოლგით“ ჯირითი, სრავდეს ოჯახის „მარაგს“,

ერქვას „სასოფლოს“ სტუდენტი, არ იკარებდეს ნიავს და, ბოლოს, ბოლოკისაგან ვერ ანსხვავებდეს ქლიავს.

გულსა მწვავს ქართველის სიმცირე და სიმწირის ოფლი დამდის... მინდა, ძმამ იგრძნოს სამი ძმა და სიკბო იგრძნოს დამ დის.

მინდა, გეხვიოს შვილები, რთველს ჰგავდე სავე მტეენის... რაც უფრო მეტ შვილს გაგვიზრდი, (ეს სიმდიდრეა ჩვენი!) იმდენჯერ საქართველოს გაბრწყინდებიან დღენი!

ხმას არ გავიღებ, დედილავ, ერთი რამ გულს არ მწვავდეს: რა იქნებოდა, ძვირფასო, რომ ბევრი შვილი გყავდეს?

ხომ საჭიროა, თანდილა ყანას თესდეს და მკიდეს? კოსმოსს აიჭრას ლევანი, მიწვდეს ვარსკვლავთა რიდეს?

მოგმართავ, გკბილო დედილავ, თხოვნით კიდეც და კიდეც: ის ურჩევნია მამულსა, რომ ორზე მეტ შვილს ზრდიდე!

ენამზიანობს თამადა, წყვილს ლოცავს ჯიხვის ყანწით, მომავალ დედას უსურვებს თორმეტ ქალსა და ყმაწვილს...

არა, არა გთხოვ, დედილავ, ამდენ ვეფხვსა და არწივს, რად არ გვაჩუქებ ნანატრის თუნდაც მესამედ ნაწილს.


ვინ თოხნოს მინდვრად სიმინდი და ვინ ამრავლოს ზვრები? ვინ ედგას დაზგას ჩაუქად, ვინ გადასეროს ზღვები?

ვინდა დაწუროს მგევანი, ქვევრს აუტეხოს თქეში, თუ ერთადერთი ვაჟიკა გიჭირავს, დედავ, ხელში?

ვინ მოანგრიოს ლოდები მიწის ქვეშ, კიდით-კიდე, თუ ერთი მისცე ქვეყანას, მასაც „ეჭიმად ზრდიდე“?

სტუმარი ბევრი მოგვიდის თვითმფრინავით, თუ გემით... ვინ უთხრას: ოშკი ვისია, ნიკორწმინდა და გრემი?

მცხეთის ჯვარი რომ ჩვენია, წრომი, ვარძია, ხანძთა... რომ ჩვენი ბასრი მახვილი მგრებთან ბრძოლებში გაცვდა.





არ ღამიჯიბებ, ჩემო გელაკსულა, მამრამ მართლა ვერ ვიპოვნე თუშვი!

ინტერვიუ საბანასთან

— ფუი, ეშმაკს! პატივცემული საბანა! რამდენიმე დღეც და, დაგვიმ-
შვილობება 1970 წელი. რა განწყობით აცილებთ მას?
საბანა: ვიღრე თქვენს კითხვას ვუბასუხებდე, გთხოვთ, ჩემთან ნუ
იფურთხებით! ახლა ორიოდე სიტყვით 1970 წლის მიღწევებზე: ვერ ვიტყვი,
რომ ჯოჯობეთში ხალვათობა იყოს. ჩემმა ცთუნებამ ზოგი გამწვანებულ
აქცია, ზოგი — ხულოვნად, ზოგი მთვრალი მიუჭინა საჭეს... ახლა ეს ჩემი
მონათლულები აგერ კუბრით საფე ქვაბში იხარშებიან. ერთზე ერთ მწყდეს
გული: სააქაოდან საიქიოში ბევრის წამოყვანა ვერ შევძელი!

ჩაიწერა რეჟო მახაშვილისა


ახალი წელი გათენდა

(ნამდვილი ამბავი)


ახალი წელი გათენდა, ყველა მღერის და იცინის,
ბაზარში ისე შევდივარ, არ მეშინია სიძვირის.
ცოლმა გოდორი ამკიდა, პროდუქტით ვავსებ ბოლომდის,
ქორწილს ეყოფა, იმდენი ვიყიდე პრასი, ბოლოცი...
ადრე ნახევარ კილოგრამს თუ ავიღებდი კანკალით,
დღეს, რადგან ვნახე იაფად, ფუთი ვიყიდე კაკალი.
პირი გამეხა ყურამდე, ვარ ახალი წლის ქებაში,
კვერცხი ვიყიდე ქათმისა, მეგონა სირაქლემასი,
ავტობუსებში ჭაბუკნი დგანან, მოხუცნი ჯდებიან,
„ჩქარა, მოგვეცი ბილეთი!“ — კონდუქტორს ეხვეწებიან.
გაისმის: „ჩავალთ, ბატონო! დაბრძანდით! გმადლობთ, შვილიყო!
უფროსს „შენობით“ მიმართა? მაგი უზრდელი ვინ იყო?“
ვილაც ვაუს ქალი სთავაზობს: დღესვე მოგვეცი სასლით!
ბიჭი უარობს: არა, ჯერ უნდა წავიდეთ „ზაგსიო!“
მოლარეებსაც ველარ ვცნობ, არც ერთი ძველებს აღარ ჰვავს,
ზედმეტს კაბისაც ვერ მისცემ, დაგვეწვა და გაგლანძღავს.
აფთიაქებში დალაგდა ყოველნაირი წამალი,
დეფიციტს ვინლა იკადრებს. ვინ გააჩერებს დამალვით?
სამშობიარო სახლშიაც უფულოდ მიხვალ, არ სწუხარ, —
ათი ტყუბიც რომ გეყოლოს, არავინ მოგთხოვს საჩუქარს...
ამ სასწაულ დღეს, რატომღაც, აღარ ვემღური ტელეფონს,
ტუ-ტუ-ტუ-ს აღარ იძახის, რეკე, სათააც გენებოს!
ახალ ბინაში შევედი, ვტყებები ცხოვრების გემოთი:
ღატაკს, კედელს, ჭერს, კარებს აღარ სჭირდება რემონტი,
გაზი ხომ კარგად მუშაობს, წყალიც მოშუის ონკანში,
მზრუნველი ხელი მშენებლის იგრძნობა ყველა ოთახში.
ნაგვის ვედრო რომ გამქონდა, მენავეებზეა წამართვის,
ენაზე თაფლი მადნება, არ ვეჩხუბები სასლმართველს...
ვცეკვავ, ვმღერი და ვტყულობ, არ ვარ ნერვებზე მოშლილი,
მოკლედ, დღეს ისე ვიქცევი, ეჭვით მიყურებს ცოლ-შვილი...
უცებ ქორივით დამეცა და ცოლმა კრინით შემძახა:
„ახალი წელი გათენდა, რა დროს ძილია, შე გლახა?!“

ზანო ცინცაძე

ნახ. ბ. შირცხალავასი



ახსანაგებო! მმართველის ფხვანა მითა უნდა იფორდეს!



ნახ. დ. ზარაფიშვილისა

— რა მიქენი, კაცო, თხუთმეტწუთიანი მოხსენება დაგაკა-
ლუ და ნახევარი საათი მალაკარაკე?
— რა ვქნა, ბატონო, ორ ცალად იყო დაგვიღილი და თქვენი
ორივე წაიპითხეთ!

რუსთაველის გამზირზე ჩემი ძველი, განუყრელი მეგობარი შემ-
ხვდა, მაგრამ ვერ მიცნო.
— გამარჯობა, გარიელ! — შევებდე მორიდებით.
შემობრუნდა, სახე გაებადრა, მეძგერა და, ისეთი ძალით ჩამ-
ბლუჯა თავისი უზარმაზარი ხელებით, რომ ძვლებმა ლაწალუწი დაი-
წყეს.
— ამას ვის ხედავს ჩემი თვალები! — დამწყვივლა, ერთი მაგრად
ჩამკოცნა და, მხოლოდ ამის შემდეგ, გამიშვა ხელი. მე თავბრულახ-
ვეულოვით წავებარბაცდი, მაგრამ არ შევიმჩინე და გავუღიმიე.
— სადა ხარ, რომ არა ჩანხარ? — შევეკითხე.
— აი, ახლა ერთს რომ დაგაფეთებ, მაშინ გაიგებ, სადაც ვარ!
რაგომ წერილი არ მომწერე მაგრამ?
— მე რა ვიცოდი, რომ მაგრამში იყავი?
— მოიცა, თორემ ცხვირპირს ჩაგიმგვრევ! მთელმა თბილისმა
იცოდა და შენ ველარ გაიგე? ეგ არის შენი ძმაკაცობა? უნდა გაგიშა-
ლოს და გლეწოს კაცმა!
— წასვლის წინ რაგომ არ გამომიარე? — ვუსაყვედურე.
— როგორ? — ამოიბღავლა გარიელმა და „სიყვარულით“ ისე და-
მარჯვა, რომ თვალებიდან სულ ცეცხლები მაყრევინა. — მე უნდა
გეახლო სახლში, შე არგასაჩერებელი? აქვე უნდა გაგაბრწყველო კა-
ცმა! რამდენი ვაქვს?
მე ჯიბეები მოვიჩხრიკე.
— შვიდი მანეთი.
— წამო, დავლიოთ! შენთვის დვინოც არამია და არაყიც, მაგრამ
რას იზამ! უნდა დაგათრო და ისე გცემო!
— არა მცალია, გარიელ! აიღე და ჩემი სადღეგრძელო დალიე! —
ფული შევადლიე.
— შენ სიცოცხლე ხომ არ მოგებურებია? — ისე შემომიბღვირა
გარიელმა, რომ განში გამბურძღლა. — წამო, თორემ მარგო ფული
რომ მიწოდდეს, ძალად წავართმევდი და თანაც ერთს მაგრად მიგაფე-
პავდი, მიგასაკლავებდი და მიგაგდებდი! წამო, წამო!
გარიელმა კისერში ხელი ჩაშავო და წინ გამიგდო. მეც ხათრი
ველარ გავუტეხე, რადგან ვიგრძენი, რარიგ ვუყვარვარ!

ზანო რხნილაძე

იგავები მორალითურთ

პრტი კაცს უძილობა სჭირდა. საშინლად იტანჯებოდა. მხოლოდ ერთი რამ შველოდა: საკმარისი იყო, ზოგიერთი წიგნი აეღო ხელთ და გადაეფურცლა, რომ მყისვე ბინდი გადაფარებოდა მის გონებას და ღრმა ძილს მისცემოდა...

მორალი: გიყვარდეს წიგნი — აღამიანის მეგობარი!

პრტიმა ქალმა სამი შვილი, მიატოვა და უცხო მამაკაცს გაჰყვა. საოცრად განიცდიდა ქალი შვილებთან დამორებას: ყოველ ორშაბათს საწოლ ოთახში ჩაიკეტებოდა და ცრემლებს გადმოჰყვრიდა: შვილებო, თქვენი სურათები მაინც წამომელო, გაიძახოდა.

მორალი: შვილებს თუ მიატოვებთ, მათი სურათები იქონიეთ აუცილებლად!

პრტი მექრთამეს წესად ჰქონდა: როცა ვინმეს ქრთამს გამოართმევდა, უეჭველად ათ პროცენტს უკან უბრუნებდა. ქრთამის მიმცემი მისი უსაზღვროდ მადლიერი რჩებოდა.

მორალი: ნუ დაკარგავ სინდისს, გაუფრთხილდი პატიოსანი კაცის სახელს!

პრტი კაცთან ძალზე ხშირად მიჰქონდათ ძღვენი, ფრიად ძვირადღირებული და საცთუნებელი. ის კაცი ბუნებას გულუხვობის გასაოცარი ნიჭით დაეჯილდოებინა: რაც კი ძღვენი მოუვიდოდა, მოადგილეს აძლევდა: აჰა, სადაც გინდა, იქ წაიღე! მოადგილე, თავის მხრივ, ზედმიწევნით გამჭრიახი კაცი იყო, ძღვენს თავმოდრეკით მიიღებდა და უფროსისავე ბინაში გააქანებდა დაუყოვნებლივ.

მორალი: რასაცა გასცემ, შენაი!..

პრტიმა კაცმა ვერა და ვერ შეიჩინა ცოლი. რამდენიც შეირთო, იმდენს გაეყარა. არც პირველი გამოადგა, არც მეორე, არც მესამე, არც მეოთხე... მხოლოდ მეხუთემ გასწია მასთან ერთად ჭაპანი. მეხუთე ცოლთან კი კაცმა მტკიცე ოჯახი შექმნა.

მორალი: შექმენით მტკიცე ოჯახი, შეირთეთ... პირდაპირ მეხუთე ცოლი!

ლევან ჩანტლაძე

ოჰ, როგორ მინდა

გილოცავთ ახალ წელიწადს და ჩემს გულისტემას გაცნობებთ, ვისაც არა გყავთ ცოლ-შვილი, არც „ნაშა“, სატრფო, საცოლე. ვისაც ჭოჭმანში, ყოყმანში წლები ხელიდან გეცლებათ, გულში გეცლებათ ხალისი, თავზე ქოჩორი გეცლებათ. თქვენი ტოლები ახალ წელს ფესვებნაყარი ხედებიან, რამდენი შვილიც ეზრდებათ, მხრებზე იმდენი ფრთები აქვთ. ზოგი ბაბუაც გამხდარა, ზოგი გამხდარა ბებია. ზოგ-ზოგებს მადა გახსნიათ, სატრფოსთვის კბილებს ლესავენ, ზოგი ცოლს ირთავს მეორედ, ზოგი ცოლს ირთავს მესამედ... ჩემს თავზეც ვიტყვი სიმართლეს, რა დაგიმალოთ თქვენ ახლა, — ისე ტკბილია ცოლ-შვილი, დავექრწინდები ხელახლა, არ შევუკრთები წუთითაც ისარშემართულ ამურთა, მაგრამ რა ვუთხრა სიდედრსა და სასიდედროს რა ვუთხრა?! სატრფოსთვის, შვილებისათვის თავს იკლავს ჩიტიც პატარა, თქვენ კი რა ღმერთი გიწყურებთ, ასე რად შეგკრათ სატანამ?! აღარ გელევათ მიზეზი, ხან რას მიზეზობთ, ხან — რასა?! მიზეზი ისევ თქვენა ხართ, მე მოგახსენებთ მართალს! წელი მოვიდა ახალი, ახალი წელი ხალისობს, ბედნიერების საწინდრად მეკვლემ სასმისი გაივსო. მზეს ასი კარი გაეხსნა, ასი მზე მოჰყვა ალიონს. ოჰ, როგორ მინდა, ეს წელი თქვენს ქორწილებში გავლიო, თქვენს ძეობებში გავლიო!

ნოდარ შამანაძე



მთავარი რედაქტორი ნოდარ ლუმაბაძე

სარედაქციო კოლეგია:
 ზ. გოლჭავაძე (პ/მბ. მღვივანი),
 ს. კლდიაშვილი,
 ნ. მაღალონი,
 ბ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე),
 ნ. შველიძე,
 ო. ზელიძე.

საბრისა და იუმორის უზრუნველყოფის „ნიანგი“.


თბილისი, რუსთაველი: პროსპექტი № 42. Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Ниянги». ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32. საერთო განყოფილების 93-10-78.

საბ. კვ ცვ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემა სასაქონლო 26/XI-70 წ. ხელმოწერილია დასაბუჰდალ 21/XII-70 წ. ქალაქის ზომა 70x108¹/₂ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,4. საბ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14

შეკვ. № 3584. შპ № 02262. ტირაჟი 115.300.



ნ. ა. შ. შიშვაშავასი

— ბატონო ექიმო, გავფეხე ხურდა ფული გადაყლაკა!
 — ხურდა ფულზე ჩემი კოლეგა მუშაობს!

77-6
ინდექსი 76137
1970

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტრის



საბანკო ურთიერთობები

საგარეო ურთიერთობების მინისტრის